სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N126

ქ. რუსთავი. 22 დეკემბერი 2015 წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავება“ (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ბადრი მოდებაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ავტომობილი 2003“ (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ნუკრი უსუფაშვილის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე **(SMP 150001056)**, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. <u>შესყიდვის ობიექტია ქალაქ რუსთავის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, მათ შორის ქუჩის ანახვეტის, ჩამოცვენილი და შეგროვებული ფოთლების გატანა (სავარაუდო რაოდენობა 1350 ტონა).</u> ასევე, საჭირეობის შემთხვევაში გზებზე მოყინვის საწინააღმდეგო ტექნიკური მარილის მოყრა (<u>სავარაუდო რაოდენობა 20 რეისი</u>). მომსახურების პირობები მოცემულია დანართში N1.

CPV 90513100

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **62350 (სამოცდაორი ათას სამას ორმოცდაათი)** ლარს, მათ შორის ნარჩენის გატანა 55350 ლარი *(1 ტონა ნარჩენის გატანა 41 ლარი);* ტექნიკური მარილის მოყრა 7000 ლარი *(1 რეისი 350 ლარი).*

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს.

3.3. ხელშეკრულების მიმდინარეობის მანძილზე შეიძლება შეიცვალოს სავარაუდო გასატანი მასისა (1350 ტონა) და გზებზე მოსაყრელი ნაზავის სავარაუდო რეისების (20 რეისი) რაოდენობები ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ფარგლებში.

4. ანგარიშსწორების ფორმები დავადები

4.1 ,,მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ,,მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.
ბ) ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;

6. მომსახურების ვადა და ადგილი

6.1. მომსახურების გაწევის ადგილად განისაზღვრება ქ. რუსთავის ტერიტორია.

6.2. მომსახურების გაწევის ვადაა 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული მომსახურება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. სრულიად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

7.4.2. პრეტენდენტს მფლობელობაში ან საკუთრებაში უნდა გააჩნდეს შესაბამისი მომსახურების გაწევისათვის საჭირო სპეციალიზირებული ტექნიკის შემდეგი საშუალებები:

<u>ა) არანაკლებ 8 ერთეული სპეციალიზირებული დახურული ტიპის ავტოტექნიკური საშუალება;</u>
<u>ბ) არანაკლებ 10 ერთეული ღია ბორტიანი სატვირთო ავტომანქანა.</u>

7.4.3. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ექსპლუატაციის პროცესში მიმწოდებლის ბრალეულობით დაზიანებული გარე ქსელის რკინისა და პლასმასის ბუნკერების შეკეთება.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებენ ბადრი მოდებაძე და მანანა მჭედლური.

8.2 ინსპექტირების გაწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით ,,მიმწოდებლისათვის" გადასახდელი თანხიდან.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 01 მარტამდე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავება“	შპს „ავტომობილი 2003“
ს.კ. –416316016 რუსთავი, კოსტავას გამზ N20. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი აბგარიში ა.ა. – GE24NB0330100200165022 ბ.ჯ. – TRESGE22	ს.კ. – 216398226 მის.: რუსთავი მე-17 მკ/რნ. N35 მომსახურე ბანკი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი “ ბ.ჯ. – LBRTGE22 ა.ა. – GE66LB 0113115404217000
დირექტორი ბადრი მოდებაძე	დირექტორი ნუკრი უსუფაშვილი

1. ნარჩენების გატანის პერიოდულობა

	დასახელება	პერიოდულობა
	გარე ქსელი სადაც არ დგას ბუნკერები (ზარი)	ყოველდღე (მოთხოვნის შესაბამისად)
	საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერები	არანაკლებ თვეში ოთხჯერ
	გარე ქსელის ბუნკერები (რკინის)	ყოველდღე (მოთხოვნის შესაბამისად)
	გარე ქსელის ბუნკერები (პლასტმასის)	ყოველდღე (მოთხოვნის შესაბამისად)

შენიშვნა:

ნარჩენების გატანა გარე ქსელის ბუნკერებიდან უნდა მოხდეს ყოველდღიურად დღეში ერთხელ და საჭიროების დადგომის შემთხვევაში რამოდენიმეჯერაც.

2. ტექნიკური მშრალი მარილის ქვიშასთან ნაზავის მოყრა

გზებზე მოსაყრელი ნაზავის შემადგენლობა: 2X1 ქვიშა (არანაკლებ 1400 კგ) – ტექნიკური მარილი (არანაკლებ 700 კგ). მომსახურება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში და შემსყიდველის მიერ მითითებულ ქუჩებზე, არანაკლებ 3მ³ მოცულობის სატვირთო ნაწილის (ბორტის) მქონე მანქანის საშუალებით.

"მიმწოდებლის" მიერ ერთეულის ღირებულებაში და ჯამურ ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს საჭირო მარილის ხარჯი.